ჯო ბაიდენმა „ლენდ-ლიზის“ შესახებ კანონს ხელი მოაწერა

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა უკრაინის დასახმარებლად „ლენდ-ლიზის“ პროგრამის ამოქმედების დოკუმენტს ხელი მოაწერა.

დოკუმენტი, რომელიც ცნობილია როგორც კანონი უკრაინის დემოკრატიის დაცვის შესახებ, მნიშვნელოვანი სამხედრო აღჭურვილობისა და სხვა მარაგების უკრაინისთვის გადაცემის პროცესს დააჩქარებს.

აღნიშნული კანონპროექტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ დასავლურ სამყაროს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ უკრაინის გამარჯვების სჯერა.

მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილი „ლენდ-ლიზის“ პროგრამა ითვლებოდა გარდამტეხად ომში, რადგან იგი შეერთებულ შტატებს საშუალებას აძლევდა, სწრაფად შეევსო მოკავშირეთა მარაგი პროცედურული დაბრკოლებების გარეშე.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 11 (10423) 13 მაისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

მხარის რწმუნებულმა რეგიონში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს გამარჯვების დღე მიულოცა

ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

გურიის რეგიონში 5 ვეტერანი ცხოვრობს, რომლებსაც რწმუნებული სახლში ესტუმრა და პირადად მიულოცა გამარჯვების დღე.

–„ვულოცავ სრულიად *საქართველოს და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს. ჩვენმა ქვეყანამ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებაში. გურიის რეგიონში ხუთი ვეტერანი გვყავს, რომლებიც პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით ერთჯერად ფულად დახმარებას მიიღებენ. მინდა თითოეულ მათგანს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო,*“– აღნიშნა გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ურუშაძემ.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად - 1 000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 500 ლარს მიიღებენ.

კელი დეგნანი – ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოსა და უკრაინაში ყველამ შეწყვიტოს ურთიერთთავდასხმა, ასეთი ჩხუბი სარგებელს აძლევს მხოლოდ რუსეთს

– ახლა ძალიან მნიშვ-ნელოვანია, ყველამ შეწყ-ვიტოს ურთიერთთავდასხმა. ასეთი ჩხუბი სარგებელს აძ-ლევს მხოლოდ რუსეთს. დეზინ-ფორმაცია მხოლოდ რუსეთს ახარებს და მხოლოდ მის მიზნებს ემსახურება, – ამის შესახებ საქართვე-ლოში აშშ-ის ელჩმა, **კელი დეგნანმა** განაცხადა.

მისი თქმით, საქართველ-ოსა და უკრაინისთვის ბევრ-ად უფრო მნიშვნელოვანია, ერთად დგომა რუსეთის წინააღმდეგ.

„რაც შეეხება ურთიერ-თბრალდებებს უკრაინასა და საქართველოში გარკვეულ პირებს შორის, არ მსმენია, რომ რომელიმე პოლიტიკური ლიდერი საქართველოს ამ ომში ჩაბმას ცდილობდეს, ფაქტობრივად, მე მესმის, რომ ადამიანები ძალიან ფრთხილები და სენსიტიურები არიან იმ ფაქტის მიმართ, რომ თქვენს ტერიტორიაზე უკვე იმყოფებიან რუსული ძალები და საქართველოს აქვს რუსული ძალების მიერ მის მშვდობიან მოქალაქეებზე თავდასხმის მტკივნეული გამოცდილება. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, ყველამ შეწყვიტოს ურთიერთ თავდასხმა. ასეთი ჩხუბი სარგებელს აძლევს მხოლოდ რუსეთს. დეზინფორმაცია მხოლოდ რუსეთს ახარებს და მხოლოდ მის მიზნებს ემსახურება. საქარ-თველოსა და უკრაინისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ერ-ად დგომა საფრთხის წინააღ-მდეგ, რომელიც სასტიკი მეზობელი რუსეთისგან მო-დის, რომელიც ცილობს, წაგართვათ სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლი-ანობა,“– აღნიშნა ელჩმა.

მან ასევე საქართველოს მიმართ აშშ-ის მხარდაჭერა-ზეც ისაუბრა და ხაზი გაუს-ვა, რომ საქართველო შეე-რთებული შტატების მნიშვნ-ელოვანი პარტნიორია.

„ჩემი ლიდერები, მათ შო-რის პრეზიდენტი ბაიდენი, გარკვევით აცხადებენ, რომ საქართველო შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი პა-რტნიორია. ჩვენ ძალიან სე-რიოზულად ვეკიდებით საქა-რთველოს მოწყვლადობას, როდესაც რუსეთი სასტიკად ესხმის თავს უკრაინას. ჩვენ ძალიან მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს სუვ-ერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და გავაგ-რძელებთ ამ მხარდაჭერას. 30 წელია, ჩვენ საქართველოს თავდაცვის ძალებს ვეხმარ-ებით, ვეხმარებით საქა-რთველოს უსაფრთხოების სამსახურებს, იმისთვის, რომ გაძლიერდნენ და შეძლონ საქართველოს საზღვრების დაცვა, ეს არის სანაპირო დაცვა, ეს არის სასაზღვრო პოლიცია, ეს არის საქა-რთველოს თავდაცვის ძალ-ები, ეროვნული გვარდია. ყვე-ლანი უფრო ძლიერები არიან, გაზრდილი შესაძლებლობით, ისინი არა მხოლოდ თანამ-შრომლობენ, არამედ შეერ-თებულ შტატებთან და ნატო-ს მოკავშირეებთან მსახურ-ობენ ავღანეთში, ერაყში. ასე რომ, ვიტყვი, რომ შეე-რთებული შტატების მხარდ-აჭერა საქართველოს მიმართ ძალიან ძლიერია და ამას ჩემი ლიდერები გარკვევით *აცხადებენ,*“– აღნიშნა ამერი-კის ელჩმა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სახელმწიფო რწმუნებული ამერიკის ელჩს შეხვდა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან **ავთანდილ თალაკვაძესთან** და ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიასთან ერ**თად საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს **კელი დეგნანს** შეხვდა.

შეხვედრაზე გურიის რეგიონში ამერიკის მთავრობის დაფინანსებით მიმდინარე პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

„მე და ევროპა“

ალიონი. 7 მაისს, კინოთეატრ „ამირანში“ საქართველო-ევროკავშირის შესახებ მომზადებული ფილმის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს ყველა რეგიონის ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

ჟურნალისტებს მიესალმა ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი.

–წელს, საქართველოსთან ჩვენი ურთიერთობის უკეთ წარმოსაჩენად, რაღაც ახალი შევქმენით. ვითანამშრომლეთ ქართველ კინორეჟისორთან, გიორგი ქელიძესთან იმისათვის, რომ შეგვექმნა ფილმი „ევროპა და მე“, რომელიც ჩვენს ოთხ სამიზნე რეგიონში: კახეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და იმერეთში გადაღებულ ოთხ ამბავს აერთიანებს. ეს ფილმი მოგვითხრობს ჩვენს საერთო ღირებ-ულებებზე - მრავალფეროვნებაზე, თანასწორობაზე, თავისუფლებასა და დემოკრატიაზე–აღნიშნა პრეზენტაციაზე.

შემდეგ კი ფილმის ჩვენება გაიმართა.

კახეთის სოფელ უდაბნოში მეცხვარე და მზარეული ირაკლი გვიყვება, თუ როგორ შეუძლია მრავალფეროვან საზოგადოებას ჩვენი ცხოვრების გამდიდრება. რაჭაში თენგიზი, რადიო-მიმღებების საკუთარი კოლექციით, საზღვრებს შორის კომუნიკაციის მნი-შვნელობაზე საუბრობს. ის ყოველთვის ისწრაფოდა თავისუფლებისაკენ, მაშინაც კი, როდესაც ეს ადვილი არ იყო. გურიაში ვეცნობით ლანჩ-ხუთის საფეხბურთო კლუბს, რომელმაც საქართველოს ისტორიაში პირველად შეძლო ევროპის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება და რომელიც სტერეოტიპებს ამსხვრევს. მათგან ვსწავლობთ ლიდერობას, გადაწყვეტილების გუნდურად მიღებას და იმას, რომ გენდერს სპორტში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. იმერეთში ჩვენ ვხვდებით აქტიურ მოქალაქეებს, აკაკის და ლეონორს, რომლებიც ახალგაზრდებთან ერთად მუშაობენ ჩვენს საზოგადოებაში ცხოვრების „მწვანე“ წესის დასამკვიდრებლად და უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ყველა ეს ისტორია ასახავს იმ ღირებულებებს, რომლებსაც იზიარებს და ამკვიდრებს ევროკავშირი და საქართველო.

9 მაისს, ეს ფილმი ფართო საზოგადოებას აჩვენეს. ამავე დღეს, ქ. ოზურგეთში „ჭადრების ბაღში“ ადგილობრივმა ევროკლუბმა ევროკავშირის დღის აღმნიშვნელი ღონისძიება გამართა.

(UNDP) პროგრამის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე იმსჯელეს პროექტ - „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში“ შესახებ, რომელიც ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ხორციელდება.

პროგრამის მიზანია დეცენტრალიზაციის, ინკლუზიური და ფაქტებზე დაყრდნობილი პოლიტიკის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ადგილზე საჯარო სერვისების მიწოდების ხელშეწყობა.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები მოინახულეს

ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, გურიის მხარისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ჩოხატაურში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები ვალერიან ლომთათიძე და გალაქტიონ ჩხიკვაძე მოინახულეს და საჩუქრები გადასცეს.

ასევე, სოფლებში, გორაბერეჟოულში, იანეულსა და ჯვარცხმაში ომში დაღუპული გმირთა მემორიალები ყვავილებით შეამკეს.

– ვულოცავ ჩვენს გმირ ვეტერანებს გამარჯვების დღეს. ქედს ვიხრი მათი? ღვაწლის წინაშე. ამ ადამიანებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად დაამარცხეს ფაშიზმი. ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებ.– განაცხადა ჩოხატაურის მერმა **დავით შარაშიძემ.**

კარლო თავაძეს ფაშიზმზე გამარჯვების 77 წლისთავი მიულოცეს

ლანჩხუთის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** გურიაში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ურუშაძესთან ერთად ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი 96 წლის კარლო თავაძეს მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

ასევე სოფელ ლესაში ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

გიორგი გოგოტიშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

21 წლის გიორგი გოგოტიშვილი ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე ია ბარამიძე) უდანაშაულოდ ცნო, მას ყველა ბრალდება მოუხსნა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

გოგოტიშვილი პოლიციამ შარშან, ზაფხულში კურორტ ბახმაროში დააკავა და ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვას ედავებოდნენ, რომელიც 8-დან 12-წლამდე ციხეს ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, გოგოტიშვილმა ციხეში 9 თვე უკანონოდ გაატარა, რის გამოც მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს კომპენსაციის მიზნით.

აშშ-ს ელჩის კელი დეგნანის ვიზიტი ოზურგეთში

ოზურგეთმა აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებას უმასპინძლა

ოზურგეთმა აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებას უმასპინძლა, რომელიც უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად ფოლკლორის ცენტრში ჩატარდა.

ამერიკულმა სამხედრო ჯაზბენდმა „Rhine River Ramblers" კონცერტზე 14 რეპერტუარი შეასრულა. ასევე, შესრულდა საქართველოს, აშშ-ს და უკრაინის ჰიმნი.

ღონისძიებას უკრაინელი მოქალაქეები, საქართველოში აშშ-ს საელჩოს სახალხო დიპლომატიის ოფიცერი **ალთეა ქოლი მერფრი**, გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს (**UNHCR**), გურიის მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჟურნალისტები დაესწრნენ.

„მოხარული ვართ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ამერიკული სამხედრო ჯაზ-ბენდის კონცერტს მასპინძლობს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავს, ასევე, უკრაინის და უკრაინელი ხალხის მიმართ სოლიდარობას ეძღვნება.

ისევე როგორც გურიაში ქართული ხალხური სიმღერა, ამერიკაში ჯაზიც გამოხატავს თავისუფლებას და მშვიდობას, კულტურათაშორის დიალოგს. ჩვენი მეგობრობა ძლიერია, სტრატეგიული პარტნიორები ვართ და კარგად გვესმის ერთმანეთის,“- აღნიშნა, ოზურგეთის მერმა, **ავთანდილ თალაკვაძემ.**

კონცერტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭრით გაიმართა.

კელი დეგნანმა ამერიკული ოზურგეთის ბიბლიოთეკაში ამერიკული თარო გახსნა

ოზურგეთის ბიბლიოთეკაში, ამერიკის ელჩმა საქართველოში, **კელი დეგნანმა,** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად ამერიკული თარო გახსნა.ამერიკული სივრცეები სულ 15 მუნიციპალიტეტშია გახსნილი, რომელთა მიზანია, ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებას და თანამშრომლობას ქართველ და ამერიკელ ხალხებს შორის. ამ სივრცეში ბავშვებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ამერიკელი მწერლების შემოქმედებას ინგლისურ და ქართულ ენებზე.

ელჩმა დაათვალიერა ბიბლიოთეკის საცავი, საბავშვო განყოფილება, სადაც გაესაუბრა პატარა მკითხველებს, შეხვდა საელჩოს მიერ ორგანიზებულ პროექტის „ საზაფხულო გამოწვევა კითხვაში მონაწილეებს. ბავშვებმა დაუსვევს საინტერესო კითხვები, ელჩმა ამომწურავად უპასუხა ყველა მათგანს და ავტოგრაფიც გაუკეთა შერჩეულ წიგნებზე.

ქალბატონი კელი დეგნანი განსაკუთრებით დაინტერესდა „ სურვილების ხეზე“ მოთავსებული გზავ-ნილებით. ღონისძიების ბოლოს გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და დასასრულს სიმბოლურად ტორტიც გაიჭრა.

ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მრჩეველთა საბჭოს შეხვედრას ამერიკის ელჩი, კელი დეგნანი დაესწრო



2022 წლის 5 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, მისი აღმატებულება კელი დეგნანი, საქართველო-აშშ-ს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში გურიის რეგიონს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში,ის „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მიმართულებით შექმნილ მრჩეველთა საბჭოს შეხვედრას დაესწრო.ამერიკის ელჩი გაეცნო მიმდინარე საკითხებს, მოისმინა პროექტის მენეჯმენტის და ასევე, მრჩეველთა საბჭოს წევრების მოსაზრებები პროექტის შესახებ და დადებითად შეაფასა ის გამოცდილება, რაც მრჩეველთა საბჭოს შექმნით დაენერგა კომპანიამ რეგიონში. საბჭოს წევრებმა, რომლებიც წარმოადგენენ გურიის სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ფრთას, გაუზიარეს ელჩს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები პროექტის შესახებ, ასევე აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოების წევრების ჩართულობა დამხარდაჭერა ისეთი პროექტებისა, რომელთაც პერსპექტივაში მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი სარგებლის მოტანა შეუძლიათ საქართველოს ენერგეტიკული მომავლისთვის.

ელჩმა, **კელი დეგნანმა** განაცხადა: — *„აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროექტში თავიდანვე დიდი იყო საზოგადოების ჩართულობა. მნიშვნელოვანია, თითოეულ დაინტერესებულმხარეს ჰქონდეს საშუალება გააჟღეროს და განიხილოს საკუთარი ხედვა და მოსაზრება, ამავდროულად, გაცნობიეროს, თუ რამხელა სარგებლის მო-ტანა შეუძლია ამ პროექტს მათთვის და მთლიანად საქართველოსთვის“.*

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტი ამერიკული ინვესტიციაა გურიის რეგიონში. კომპანია სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI „ბახვი1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტში 60 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ინვესტიცია აქვს განსაზღვრული.

„როცა ვსაუბრობთ ამერიკულ ინვესტიციაზე, აუცილებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ამერიკული ინვესტიცია კომპანიას უქმნის ვალდებულებას, ყველა სამუშაო განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესა-ბამისად, ასევე საერთაშორისოდ აღია-რებული გარემოსდაცვითი და სოცია-ლური საკითხების მართვის სტანდარტების სრული დაცვით, როგორიცაა მაგალითად IFC. ეს კი ნიშნავს გარემოსდაცვითი და სოციალური პროექტების საერთაშორისოდ აღიარე-ბული მოთხოვნების შესაბამისად მართვას.როცა ინვესტორი შედის ამათუიმ რეგიონში, მას უშუალოდ სოფლისთვის, სადაც ხორციელდება პროექტი, მოაქვს გამოცდილება, უფრო მეტი ცოდნა და ასევე, დასაქმების შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური პროექტები, რომელსაც ახორციელებენ ეს კომპანიები ადგილობრივ მოსახლეობა-სთან შეთანხმებით“ — განაცხადა **მიხეილ ნიბლაძემ,** „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის დირექტორმა.

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგური“ არის მდინარე ბახვისწყალზე დაგეგმილი, მცირე ჰესის პროექტი, რომელიც ამჟამად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპზეა.მისი დადგმული სიმძლავრე არის 10.9 მეგავატი, წლიური გამომუშავება კი შეადგენს 43.1 მილიონ კილოვატსაათს. პროექტის ინვესტორი კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგია (CCEH), რომელიცსაერთაშორისო საინვესტიციო კომპანიაა. CCEH-ი საქართველოს ბაზარზე 2015 წლიდანოპერირებს. მის ინვესტორებს წარმოადგენენ საყოველთაოდ ცნობილი საფინანსო ინსტიტუტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. კომპანიის საქმიანობის მიზანია, განახორციელოს ინვესტირება საქართველოში მცირე და საშუალო ზომის ჰიდრო ელექტრო სადგურების (ჰესების) მშენებლობაში კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის გზით. საინვესტიციო კომპანიას საქართველოში წარმოადგენს მისი აღმასრულებელი დირექტორი, მიხეილ ნიბლაძე. CCEH-ის გუნდი დაკომპლექტებულია მაღალი დონის პროფესიონალებით ჰიდროენერგეტიკის დარგში, რომელთაც გააჩნიათ გამოცდილება საინვესტიციო, საინჟინრო-ტექნიკური და გარემოსდაცვითი მიმართულებებით.კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის პორტფელი მოიცავს როგორც უკვე ოპერირებად (ლახამი ჰესი, ბახვი 3 ჰესი, ინწობა ჰესი და აჭი ჰესი), ასევე მშენებლობის პროცესში (ახალქალაქი ჰესი) მყოფ პროექტებს. ამასთანავე, გვაქვს „ბახვი 1 ჰესის“ პროექტი რომელიც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპზეა და „ბახვი 2 ჰესი“, რომელიც კვლევის სტადიაზეა.

ამერიკის ელჩის სტუმრობა სოფელ ბახვის საჯარო სკოლაში

სსიპ- წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს გურიის აგრობიზნესცენტრის მხარდაჭერით დაიწყო პროექტის „ახალგაზრდების მომზადება უკეთესი მომავლისთვის“ განხორციელება, პროექტის ხელმძღვანელია თამარ ხომერიკი. პროექტის ფარგლებში სკოლაში ჩამოყალიბდა პროფესიული კლუბი „ნერგები“.სკოლის ეზოში მოეწყო სათბური, სადაც დაითესა 5 სახეობის (კიტრი, პომიდორი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბადრიჯანი, ბულგარული წიწაკა) ბოსტნეული. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ . და დღეს 2022 წლის 4 მაისს სკოლას სტუმრობდა აშშ-ს ელჩი საქართველოში ქალბატონი კეილი დეგნანი. ქალბატონი ელჩი შეხვდა კლუბის წევრებს, მოსწავლეებმა ისაუბრეს გაწეული საქმიანობისა და მომავლის გეგმების შესახებ, ელჩს დაუსვეს მათთვის საინტერესო კითხვები, შემდეგ სათბურში მოყვანილი ჩითილების ღია გრუნტში გადარგვაში მონაწილეობა თვით ქალბატონმა კეილი დეგნანმაც მიიღო.

ვასილ კვაჭანტირაძე – მეორე მსოფლიო ომის საუკეთესო სნაიპერი



ალიონი. 9 მაისს, ერთმა ოზურგეთელმა დაგვირეკა და გვითხრა: –ხომ არ წამოხვალთ სოფელ გურიანთაში, საბრძოლო დიდების მემორიალთან, მეორე მსოფლიო ომის გმირის ვასილ კვაჭანტირაძის ბიუსტთან ყვავილების გვირგვინი უნდა დავდოთო.

ვასილ კვაჭანტირაძე მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სნაიპერი იყო, რომლის ანგარიშზე ოფიციალურად 542 განადგურებული მოწინააღმდეგეა, თუმცა სხვა წყაროების ცნობით ეს ციფრი გაცილებით დიდია. მიუხედავად იმისა, რომ მთავარსარდალი ქართველი იყო, ქართველ სნაიპერს წინ ვერ დაუყენებდნენ რუსებს და უფრო პოპულარული გახლდათ ვასილ ზაიცევის, ივან კულბერტინოვის და ივან სიდორენკოს სახელები, რომლებსაც გაცილებით ნაკლები მოწინააღმდეგ ჰყავდათ განადგურებული.

ვასილ კვაჭანტირაძე 1941 წლიდან იყო ფრონტზე. მონაწილეობდა სტალინგრადის, კალინინის, ყირიმის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. განსაკუთრებით გამოჩინა თავი 1944 წელის ზაფხულში ბელორუსიაში, ვიტებსკის ოლქის გათავისუფლებისას. 23-27 ივნისს მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას, სოფელ შემილინოს მიდამოებში და ვიტებსკის გერმანული დაჯგუფების ლიკვიდაციისას გაანადგურა 44 მოწინააღმდეგე. 1945 წლის 24 მარტს, ვასილ კვაჭანტირაძეს გმირის წოდება მიენიჭა. იგი ხუთჯერ დაიჭრა, მიღებული ჰქონდა 5 საბრძოლო ორდენი და მრავალი მედალი. ომიდან დაბრუნების შემდეგ გურიანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, თუმცა ბრძოლის ველზე მიღებული მძიმე ჭრილობებმა თავისი გავლენა იქონია გმირის ჯანმრთელობაზე და 1950 წელს, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა..

9 მაისს, სხვადასხვა ფორმით სოფელ ლიხაურში, დვაბზუში, ასკანაში და სხვაგან აღნიშნეს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, დეპუტატებმა, პედაგოგებმა, მოსწავლეებმა ყვავილები მიიტანეს ობელისკებთან თუ მემორიალურ დაფებთან

სოფელ გურანთის ცენტრში მეორე მსოფლიო ომის მემორიალთან, სადაც ობელისკის გარდა მეორე მსოფლიო ომის გმირების სნაიპერ ვასილ კვაჭანტირაძის და ცნობილი მხედართმთავრის, გენერალ-პოლკოვნიკ პორფირე ჩანჩიბაძის გრანიტის ბიუსტებია, ყვავილების გვირგვინით შევამკეთ.

რაოდენ საამაყოა, რომ ამ სოფელს მეორე მსოფლიო ომის ორი ცნობილი გმირი ჰყავს, ერთი ზემდეგი, სნაიპერი, რომელმაც ომის პერიოდი ფრონტის წინა ხაზზე გაატარა, და მეორე – გვარდიული არმიის ჯარების სარდალი, რომელიც ომიდან დაბრუნების შემდეგ, 1950 წელს, 48 წლის ასაკში გარდაიცვალა.

5-6 წლის წინ, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ვასილ კვაჭანტირაძის ქალიშვილს, რომელიც ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩის დასაწყისში, მდინარე ბაზრისწყალზე მდებარე ხიდზე, დარში თუ ავდარში ჟურნალ-გაზეთებს ჰყიდდა, ადგილის დატოვება მოთხოვეს. არადა მოხუცებულობის პენსია და ჟურნალ-გაზეთების გაყიდვით მიღებული მცირე შემოსავალი იყო და არის მისი და მეორე დის არსებობის წყარო. საბედნიეროდ, ჩვენი ჩარევის შემდეგ ეს პრობლემა მოგვარდა.

მეორე მსოფლიო ომის გმირის შვილები ვერც 9 მაისს, სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებენ, რადგან მათი მამა ფრონტზე არ დაღუპულა, არამედ სახლში ომში მიღებული ჭრილობებიდან გარდაიცვალა.

ფაშიზმს მთელი მსოფლიო ებრძოდა. მეორე მსოფლიო ომის ფრონტი დედამიწის ყველა კონტინენტზე იყო გაშლილი. საქართველოდან ამ ომში 700 ათასი ადამიანი იბრძოდა, საიდანაც 300 ათას მებრძოლზე მეტი ბრძოლის ველზე დაიღუპა. ეს იყო იმჟამინდელი საქართველოს მოსახლეობის 11 პროცენტი – საუკეთესო გენოფონდი

ომის გმირების ხსოვნა პატივისცემას იმსახურებს. ცნობილ ამერიკელ მწერალს ერნესტ ჰემინგუეის დავესესხებით: ,,ადამიანი კუნძული როდია, მარტოდ გარიყული, იგი მიწის და ცის ნაწილია. ზღვამ რომ ერთი ბელტი წალეკოს, ქვეყანას ისიც დააკლდება.იგი შენც დაგაკლდება. ამიტომ ნურასოდეს იკითხავ, ვის უხმობს ზარი?! იგი გიხმობს შენ!“

გამწვანების აქცია ჩოხატაურში

2022 წლის 4 მაისს, 16 საათზე ჩოხატაურში გამწვანების აქცია ჩატარდა. აქციის ფარგლებში სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული მარადმწვანე და ფოთლოვანი მოზრდილი ნერგი დირგო სამ უბანზე, კერძოდ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის შენობის წინ, მის მიმდებარედ არსებულ კრიმანჭულის სკვერში და ჩოხატაურის კულტურის სახლთან.

აღნიშნული ღონისძიება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის და ,,ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ ერთობლივი აქციაა, რომელიც ,,ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის გარემოსდაცვითი კომპონენტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა.

ჩოხატაურის გამწვანების აქცი-აში მონაწილეობას იღებდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი, **დავით შარაშიძე,** მის თანამშრომლებთან ერთად და ,,ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ დირექტორი, **მიხეილ ნიბლაძე,** მენეჯმენტის სხვა წევრებთან ერთად.

,,მოხარული ვარ, რომ დღეს მოგვეცა საშუალება ჩოხატაურში განგვეხორციელებინა პირველი პროექტი გარემოსდაცვითი კომპონენტის ფარგლებში. მოგეხსენებათ, ჩვენი სოციალური პროგრამა სგანმანათლებლო პროექტებით უკვე გახსნილია. გარემოს დაცვის კუთხით, კი სწორედ ამ ღონისძიებით ვხსნით სეზონს. ჩვენ მიერ გავრცელებულ გზავნილში მთ-ავარი სიტყვა ზრუნვაა. ზრუნვა ადამ-იანებზე,გარემოზე და რეგიონის განვითარებაზე. მოგვაჩნია, რომ გარემოს დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რამ არის,რაც შეიძლება გააკეთოს ადამიანმა. სწორედ ამას ვასწავლით ახალგაზრდებს ჩვენი ტრ-ენინგის ფარგლებშიც, რომელიც ამჟამად მთისპირის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს და სადაც უკვე სექტემბრიდან ჩხაკაურას სკოლაც ჩაერთვება. გარემოს დაცვა და განახლებადი ენერგიების მნიშვნელობა ფასდაუდებელია რაც ჩვენ შეიძლება გავუკეთოთ როგორც ჩვენს თავს ასევე, მომავალ თაობას“ - განაცხადა ,,ბახვი 1 ჰესის“ პროექტის დირექტორმა მიხეილ ნიბლაძემ.

გამწვანების აქცია დედამიწის საერთაშორისო დღის ფარგლებში ჩატ-არდა, რომელიც თავის მხრივ ყოველწლიურად 22 აპრილს აღინიშნება მთელს მსოფლიოში.

ჩვენი ნოდარა!

ყველა სოფელს ჰყავს თავისი რჩეული პიროვნებები, რომლებმაც თავისი თავი კი კაცობით დაამახსოვრეს სოფელს, რაიონს, სამეგობროს. ჩვენს სოფელს–მაკვანეთსაც ჰყავდა ასეთი კაცები.

ერთ-ერთი ასეთი კაცი გახლდათ **ნოდარ ლომჯარია.** იგი ჩემზე ცოტათი უფროსი იყო, მაგრამ ძალიან კარგი მეზობლობა და ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან.

ნოდარის შესანიშნავი მშობლები ჰყავდა, ზრდილობით სავსე ადამიანები. ერთმანეთს თქვენობით ელაპარაკებოდნენ: ,,ქალბატონო ნინუკი“, ,,ბატონო ალექსი“ –ასე მიმართავდნენ ერთმანეთს.სუფთა და ქათქათა მოხუცები იყვნენ.

ბატონი ალექსი დიდ მომღერლად არ ითვლებოდა, მაგრამ ძალიან გემრიელი ხმა ჰქონდა და სიმღერაც უყვარდა. ხშირად ვხდებოდით ერთმანეთს ჩემს ოჯახში. მახსოვს, მე, მამაჩემს და ჩემს ბიძაშვილს – გური სიხარულიძეს შეგვასწავლა სიმღერა –,,აბა დარეჯან“, რომელიც ცოტა ხანში ძალიან პოპულარული სიმღერა გახდა.

ნოდარ ლომჯარია ერთი პერიოდი სოფელ მაკვანეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, შოთა ბასილაშვილის მძღოლად მუშაობდა. მაკვანეთში ახლაც იხსენებენ,არ არსებობდა,რომ ნოდარის მანქანა არ გაეჩერებინა გზად მიმავალი თანასოფლელისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მანქანაში ადგილი არ იყო, გააჩერებდა და ბოდიშს მოიხდიდა.

როცა შოთა ბასილაშვილი რაიონის ,,საქვაჭრობის“ მმართველად გადაიყვანეს, მან ნოდარი თან წაიყვანა და დიდი სამაცივრო საწყობი ჩაბარა. სწორედ ამ ,,მაცივარში“ მუშაობისას გაუჩნდა მას ე.წ. ,,ციმბირული წყლული“ და დიდი ხნის წვალების შემდეგ კიდეც იმსხვერპლა ნოდარის სიცოცხლე.

მე მწარედ, მაგრამ მაინც მინდა გავიხსენო ერთი პერიოდი: რომელიღაც საგასტროლო მოგზაურობიდან სახლში რომ დავბრუნდი, მითხრეს, – ნოდარი გახდა ცუდად და საავადმყოფოში მეზობლები და მეგობრები ღამეს უთევენო. გადავწყვიტე ერთი ღამე მეც გამეთია და მე და ჩემი თანასოფლელი რეზო ბაბილოძე იქ დავრჩით.

ღამის 3 საათზე მეორე სართულიდან გვესმის ხმა: –ლომჯარიასთან თუ ხართ ვინმე, სასწრაფოდ ამოდით ზევითო. ავირბინეთ. პალატაში რომ შევედი,ნოდარიმ ჯერ გამიცინა, შემდეგ ხელი დამიჭირა– მოდიო. ჩამიდო მისი ხელები ჩემს ხელებში და მომეფერა. შემდეგ უცებ გამომგლოჯა მისი ხელები, მაღლა ასწია, ხმამაღლა რაღაც თქვა, ხელები დაბლა დაუვარდა და გათავდა კიდეც. ეს იყო ალბათ სულის ამოხდენა, რაც მანამდე მე არ მენახა.

ნოდარ ლომჯარია მთელი სოფლის საყვარელი პიროვნება იყო – კეთილი, პატიოსანი, არაჩვეულებრივი მეუღლე, კარგი მამა და შესანიშნავი მეგობარი. მან ქალბატონ ნანი შავიშვილთან ერთად შექმნა საუკეთესო ოჯახი. ეყოლათ შვილები: ნინო, ელზა და დათო, რომლებიც ჩვენმა საყვარელმა ანზორ ერქომაშვილმა მონათლა. ანზორი დიდ პატივს სცემდა ნოდარის ხსოვნას და მის ოჯახს.

ნოდარი ჩემთვის დიდი დანაკლისია, როგორც პიროვნება, როგორც მეზობელი და როგორც შესანიშნავი ქართველი.

ასეთი შესანიშნავი ხალხი არ კვდებიან, ისინი მარად ცოცხლობენ.

ტრისტან სიხარულიძე.

მამა ვახტანგს (თოხაძე) მღვდელმოქმედება დაუბრუნდა

9 მაისს, შემოქმედის ეპარქიის სხდომა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ:

თავმჯდომარე: მაღალყოვლადუსამღვდელოესი შემოქმედელი მიტროპოლიტი **იოსები;**

შემოქმედის ეპარქიაში შემავალი სასულიერო პირები: მღვდლები, დიაკვნები და ბერ მონაზნობა.

კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად მამა ვახტანგის (თოხაძე) შესახებაც იმსჯელეს.

(გთავაზობთ ამონარიდს ოქმიდან):

1.მამა ვახტანგ თოხაძის მიერ ალტ-ინფოს ოფისის კურთხევის გამო მღვდლობის შეჩერების საკითხი *- მეუფემ აღნიშნა, რომ ალტ-ინფო ფინანსდება რუსეთის მიერ და რომ ისინი სენსიტიური თემებით (მაგ. ჰომოსექსუალიზმი, ფსევდოპატრიოტული და ეროვნული მოწოდებებით) ზემოქმედებენ ჩვენს საზოგადოებაზე.*

მეუფე იოსები:– *მე მინდა მამა ვახტანგიმ დაიბრუნოს მღვდელმოქმედების უფლება, ეს კი მის სინანულზეა დამოკიდებული.*



მამა ანდრია კბილაშვილმა აღნიშნა, რომ სასულიერო პირები ლოცულობენ მშვიდობისთვის, რომ მათთვის მთავარი არის ღმერთი, ხოლო განსჯა ღმერთს უნდა მივანდოთო.

მამა მარკოზ გურგენიძემ აღნიშნა, რომ ზოგადად სასულიერო პირი უნდა ეცადოს არ ჩაერიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და დასძინა, რომ უმჯობესი იქნებოდა მოგვესმინა თავად მამა ვახტანგისთვის.

მამა ვახტანგ თოხაძემ პირველ რიგში აღდგომა მიულოცა ყველას. ბრალდებასთან დაკავშირებით თქვა, რომ ყველა ადამიანს აქვს თავთავიანთი შეხედულება და აქვე ითხოვა შენდობა ალტიმფოსთან ურთიერთობის გამო,ყველას მიმართ, ვინც მის გამო განკითხვაში ჩავარდა ან დაბრკოლდა.

მამა ვახტანგ თოხაძეს დაუბრუნდა მღვდელმოქმედება. მეუფე იოსებმა აკურთხა და დალოცა მამა ვახტანგი.

აქვე დასძინა,რომ არცეთ სასულიერო პირს არააქვს უფლება ეპისკოპოსის ლოცვაკურთხევის გარეშე რაიმე მოიმოქმედოს,ასევე გააკეთოს პოლიტიკური განცხადებები, აკურთხოს პარტიული ოფისები და სხვა.

აგრეთვე 2 სასულიერო პირს მიეცა გაფრთხილება, სოციალურ ქსელში გაკეთებული პოლიტიკური კომენტარების გამო.

„ტროლები და პროპაგანდა“



შიშის ენერგია გაუგებრობაშია - მივაწერე ფურცელზე „**Black Mirror**“-ის ყურებისას. აღარ მახსოვს, იქ გაჟღერდა თუ ცქერისას მომფიქრდა.

რომ ავირიდოთ კონრეტულ თემებზე საუბარი, შემოვიტან

ზოგად ცვლადებსა და მოდელებს, რომლებსაც შეიძლება იყენებდნენ აზრის ფორმირებისას. ყველა ვერსია არის ჩემი დაკვირვების შედეგი.

დავიწყოთ.

წარმოიდგინეთ, 3 გეომეტრიული ფიგურა (ფულისსმეთ რაც გინდათ: მუსიკის ჟანრიდან ცნობილ ადამიანამდე):

სამკუთხედი, ოთხკუთხედი და წრე. ყველა მათგანის ირგვლივ არსებობს მახასიათებლებისა და ღირებულებების ერთობლიობა.

სამკუთხედი - აქვს 3 კუთხე, შესაბამისად 3 წვეროც, სიმარტივით პირველი გეომეტრიული ფიგურაა - წერტილის და მონაკვეთის შემდგომ მასზე მარტივს ვერაფერს მოხაზავთ.

ოთხკუთხედი - აქვს 4 კუთხე. სამკუთხედისგან განსხვავდება შექმნის დროით, აღემატება კუთხეების/გვერდების/წვეროების რაოდენობით და შიდა კუთხეების ჯამითაც.

წრეწირი - ცენტრიდან თანაბრად დაშორ-ებულ წერტილთა, ერთობლიობა. არ აქვს შესამჩნევი კუთხე თუ წვერო.

განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოება, თითოეული ფიგურის პლიუსებსა და მინუსებს უნდა აღიქვამდეს და შესაბამისად იყენებდეს მათ მრავალფეროვანი გარემოს ჩამოსაყალიბებლად, რომელშიც შესაძლებელია განსხვავებული ფიგურების თანაარსებობა.

პროპაგანდის შემთხვევაში, ფიგურების განსხვავებები ბოროტად გამოიყენება მათი ერთმანეთზე გადაკიდების მიზნით

1. დაყოფა და რადიკალიზაცია

წარმოიდგინეთ ცალ-ცალკე იქნება:

„მხოლოდ სამკუთხედშია თავისუფლება“

„მე მიყვარს ჩემი ოთხკუთხედი“

„ყველაფერი წრის გარშემო“

ასეთ აგორებულ კამპანიებში ხდება ხაზგასმა იმ მახასიათებლების, რომლითაც ისინი შეუძლიათ დააპირისპირონ.

„მხოლოდ სამკუთხედშია თავისუფლება“-ში გადააწყდებით შემდეგ შეხედულებებს:

• სამკუთხედია ყველაზე მაგარი ფიგურა, ყველაზე ცოტა წერტილია საკმარისი მის მისაღებად,

• დიდი წარსული აქვს, პირამიდებიც კი სამკუთხედია.

რატომ არაა ოთხუთხედი და წრე??!!

„მე მიყვარს ჩემი ოთხკუთხედი“:

• მხოლოდ ოთხუთხედია ასე სიმეტრიული.

• მასში უფრო მეტი წერტილია ვიდრე იმ წარსულის გადმონაშთ სამკუთხედში და ისეთი ბლაგვიც არაა როგორც წრე, საერთოდ რომ კუთხე არ აქვს.

„ყველაფერი წრის გარშემო“:

• თანაბრად დაშორებული წერტილების მაქსიმალური რაოდენობა.

• ჩვენი წრის გარდა ყველა ერთნაირია - ყველა კუთხეების რაოდენობაში ეჯიბრება ერთმანეთს.

• ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთ-ქვით კუთხეებზე. ამაშია ჩვენი უნიკალურობა.

ასე ხდება რადიკალიზაცია.

სხვადასხვა სივრცეში ფიგურების მომხრეების გადანაწილებით, ინფორმატორი ქმნის არხებს, რომლის საშუალებითაც იცის, ვის რაზე ესაუბროს, რა გაუზარდათ თუ ეწყინებათ.

ფაქტიურად საზოგადოებას ალაგებს უჯრებში.

მიხვდებოდით, რომ სამკუთხედის მხარდა-მჭერ სივრცეში ოთხკუთხედის და წრის აუდიტორია გამოდგება ტროლებად, თუნდაც დაფინანსების და იძულების გარეშე ბევრი საკუთარი სურვილითვე დაესხმება თავს სხვა ფიგურას.

თითოეულ ფიგურას დარჩენილი 2-ის მხარდამჭერები ჰყავს მოწინააღდეგედ.

ამიტომ სიტუაციის ამრევთა რაოდენობა ყოველთვის მეტია დალაგებულობის მომხრეთა რაოდენობაზე. შესაბამისად, თუკი თქვენი საქმიანობა დგას მართვად ნეგატივზე, თქვენი ჯარისკაცების რაოდენობა ყოველთვის მეტია.

რეალურად 3-ვე ფიგურის მხარამჭერიც და მოწინააღმდეგეც „6-ვე“ მხარე პროპაგანდისტის ხელშია და ღონისძიების შინაარსიდან გამომდინარე შეუძლია ირჩიოს რომელ აუდიტორიაში, რომელ ფიგურას, როგორ მოექცეს (წაახალისოს თუ დაუპირისპირდეს)

აქ არ არსებობს მხარე, რომელიც მართლია, რადგან ჭეშმარიტება არასოდესაა მხარე.

მაშინ როდესაც თემას მხოლოდ დადებითი ან მხოლოდ უარყოფითი

მხარეების მაქსიმალიზებით წარმოადგენენ, შეგიძლიათ იცნოთ პროპაგანდის (ამ შემთხვევაში რადიკალიზაციის) ხელი.

2. „ახალი“ ფიგურა - ხუთკუთხედი

როდესაც სიტუაცია საჭიროებს მე-4 ტიპის ფიგურის არსებობას, მას ქმნიან, ხელოვნურად.

ღირებულებები, საკითხები, თემები მის ირგვლივ და დამოკიდებულებები დანარჩენ

ფიგურებთან წინასწარ მზადდება. მაგალითად:

1. ხუთკუთხედი ყველაზე მეტად ჰგავს სამკუთხედს, რადგან კენტი კუთხეები აქვს (3,5)

2. კუთხეების რაოდენობით ოთხუთხედთან უფრო ახლოა, ვიდრე სამკუთხედთან (5 ახლოა 4-თან ვიდრე 3-თან)

3. ცენტრიდან თანაბრად დაშორებული ყველაზე მეტი წერტილი ხომ ხუთკუთხედს აქვს, ვიდრე სამკუთხედსა და ოთხკუთხედს, ამიტომ ის ყველაზე ახლოა წრესთან.

ყველა ეს თემა, ასოციაციები, შეიძლება წინასწარ გამზადდეს ფიგურის ირგვლივ და დასაწყობდეს. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი მუშაობაში ჩაშვება.

თუკი სოციუმში ისედაც არსებობს 5კუთხედის წარმოშობის ხელშემწყობი მიზეზები და/ან ტრადიცია, 5კუთხედად გამოდგება ნებისმიერი სამკუთხედი რომელმაც 2, ხოლო ოთხკუთხედი, რომელმაც 1 კუთხე (წერტილი, წვერო) დაიმატა. ან სულაც ყოფილი წრე, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ცენტრიდან თანაბრად დაშორებული წერტილებიდან, მხოლოდ 5 დაიტოვოს და შეაერთოს.

ასე იქმნება მოქმედება პირობითი სახელით „გადაბარგება“.

3. გადაბარგება

ფიგურის ირგვლივ გაერთიანებული ასოციაციებიდან გამოყენებულის გადაყრა და გამოუყენებლების „ათვისება“ არის პროცესი, რომელსაც ამ წამსვე ადევნებთ თვალს. ბრენდები, ცნობილი ადამიანები, თუ მედიაარხები, რომლებიც დაუფარავად რუსულ პროპაგანდას ეწევიდნენ, დღეს უკრაინის დროშებს აფრიალებენ.

ვითარებიდან გამომდინარე საკუთარი ღირებულებებისგან საწინააღდეგო მხარეს გადახვევას ბევრი ადაპტაციის უნარით ამართლებს და საკუთარ ევოლუციად წარმოაჩენს. სინამდვილეში

ამას ჰქვია - მედროვეობა.

4. გადაზღვევა ალტერნატივის შექმნით

ზოგიერთი ფიგურის სიყალბის შესამჩნევად მისი იდენტური ალტერნატივების დაფიქსირებაც კმარა. ამ შემთხვევაში პროპაგანდისტი იყენებს გადაზღვევას ალტერნატივის შექმნით. ფაქტიურად კოპირდება ფიგურა თავისი იდეალებით, მომხრეებით, მოწინააღმდეგეებით. ზოგჯერ იდეის სახელწოდებითაც კი ფაქტიურად სინონიმი ჰქვია. იმ ვარიანტისთვის, თუ

შემთხვევით მათი ფიგურა „ფეხს წამოიკრავს“ რომ არსებობდეს მისი შემცვლელი, რომელიც ამ იდეოლოგიის მიმდევრებს აღარ „დაკარგავს“ და ადვილად მითვისებს.

5. გაფუჭება - „დამპალი ვაშლი“

როდესაც ფიგურა საზოგადოებაში მხოლოდ ნეგატივს იზიდავს, დიდია მის სამკედრო- სასიცოცხლო მოწინააღდეგეთა რაოდენობა, ის მაინც არ ხდება უსარგებლო პროპაგანდისტის ხელში.

გაფუჭებულ ფიგურას იყენებენ დაპირისპირებული მხარის დისკრედიტაციისთვის,

მაგალითად:

საზოგადოებას აღარ აღფრთოვანებს წრე. 3კუთხედი და 4-კუთხედი საერთო ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებას გადაწყვეტენ. საზოგადოებაც იწყებს საერთო ღირებულების დანახვა-დაფასებას. ამის დასაშლელად, მაგალითად, 4-კუთხედთან დააყენებენ 5კუთხედს, რომელიც უკვე წრესთან საერთოობის გამო სძულთ (ან საერთოდაც ყოფილი წრეა - გადაბარგებული 5კუთხედად). 4-კუთხედის მომხრეთა გვერდით 5-კუთხედის დანახვა სამკუთხედის მომხრეებს განარისხებს და დაიშლებიან.

თუ იმდენად გულუბრყვილო ხართ, რომ პროპაგანდა დღემდე ცუდ ქალაღზე

რამოდენიმე ფერით შესრულებული პოსტერის დონეზე გგონიათ რჩება, გეტყვით, რომ

ყველაზე მეტად თქვენ გჭირდებათ შველა.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების განვითარებას უმრავი ხელსაწყო მოჰყვება ადამიანის დათაგვის ფუნქციიდან ჰოტსჰოპ/დეეპფაკე-მდე. ისეთები როგორებსაც ვუგებთ და როგორებსაც, ალბათ, ჯერაც ვერ ვუგებთ. როგორ ფიქრობთ, პროპაგანდა რატომ არ გამოიყენებს მათ?

ირაკლი დოლიძე

გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

სილიბისტრო მახარაძე

თეირ ჩოხაში ივანე მახარაძე. პირველ რიგში 2 პავლე მახარაძე, 3 ლუკა ჩხარტიშვილი, 4 ს. დგებუაძე, 5 ჯიშვარდი მახარაძე, 6. გიორგი კალანდარიშვილი. დგანან: 7 ყარამან კალანდარიშვილი, 8 ივანე (პატარა) მახარაძე, 9. სილიბისტრო მახარაძე, 10 იოსებ ტალახაძე. 1893 წელი ჩიკაგო

სილიბისტრო მახარაძე ივანე და პავლე მახარაძის ძმა იყოცხოვრობდა ქედა ბახვში. სულ ოთხი ძმა იყო მათგან სამი ივანე, პავლე და სილიბისტრო მოჯირითეები იყვნენ მეოთხე ძმა ალექსანდრე მკერავი. ძმები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ დაოჯახებულები. სილიბისტროს მეუღლე იყო გულნაზი ნაკიძე მათ ოთხი შვილი ჰყავდათ:ა ქვსენტი ვლადიმერი, ანეტა და აგრაფინა. ოთხი შვილიდან ვლადიმერი გა-რდაიცვალა ადრე სტუდენტობის დროს.

სილიბისტროს უყვარდა ჯირითი, ნადირობა, ქეიფი და საოცრად ენა მოსწრებული ყოფილა. ამის შესახებ მოგვითხრო მისმა შვილიშვილმა იზოლდა დათუნაშვილმა: როდესაც ქალიშვილი ანეტა გა-თხოვა მზითევში (გურიაში მზითევის სია წინასწარ დგებოდა) დავიწყებოდათ ჯაჭვი (სამხარეულოში შუა ცეცხლზე საჭმლის ჩამოსაკიდი,რომელზეც საჭმელს ამზადებდნენ) და სიძის ოჯახისთვის უთქვამს ჯაცს კუდი ყავარზე გაქვთ გადებული(ყავარი ხის თხელი ფიცარი , უფრო სწორად ხისაგან ახდილი ფიცარი ,რომელსაც სახლის გადასახურად იყენებდნენ გურიაში გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ამპარტავნებას) და ჯაჭვს როგორ გაკადრებდიო, მეგონა ელექტროლუმელი ქონდაო.

სილიბისტრო მახარაძე ჯირითობდა თავის ძმებთან და სხვებთან კერძოდ: ივანე მახარაძე, პავლე მახარაძე, ივანე (პატარა) მახარაძე, ჯიშვარდი მახარაძე, ყარამან კალანდარიშვილი,გიორგი კალანდარიშვილი, ლუკა ჩხარტიშვილი, სდგებუაძე, იოსებ ცეცხლაძესთან ერთად 1893 წელს.

სილიბისტროს და მისი ძმების მოგზაურობის 1893 წლის ეპიზოდს ასე აღწერს ბატონი რიჩარდ ჯორჯიანი *:„ივანე მახარაძის-გურული ლიდერის მოგზაურობა დაიწყო გასული წლის ბოლოს, როცა ბუფალო-ბილმა სთხოვა მას რომ ჩიკაგოში ეჯირითა,ივანემ ეს შეთავაზება მიიღო, დაბრუნდა სახლში ,რათა დანარჩენი მოჯირითეები ეპოვა, ბევრ მათგანს, რომელიც მასთან ერთად ჯირითობდა ინგლისში (ეს იყო 1892 წელს გურული მოჯირითეების პირველი გასვლა საზღვარგარეთ).არ უნდოდა ჩიკაგოში წასვლა , ან კიდევ მეუერთდნენ დიმიტრი მგალობლიშვილს ადამ ფორეპს ცირკში. ივანე მახარაძეს შეუერთდა მისი მეგობარი ლუკა ჩხარტიშვილი,მაგრამ კიდევ 8 მოჯირითე იყო საჭიროო.ივანემ აარჩია მისი ძმები პავლე და სილიბისტრო, მისი ორი ბიძაშვილი ჯიშვარდი და ივანე პატარა ჩოხვრძელა ,დიდი დარწმუნება დასჭირდა, რომ ცოლისძმები ყარამანი და გიორგი კალანდარიშვილები დაეთან-ხმებინა.ესენი დაეშმეიდობნენ ოჯახს და თებერვლის ბოლოს გაუდგნენ გზას ბათუმისკენ.ბ ათუმიდან სამ დღიანი მოგზაურობის შემდეგ კონსტანტინეპოლში (სტამბოლში) ჩავიდნენ, აქედან გაეგზავნენ მარსელში, მარსელიდან მატარებლით ჩავიდნენ პარიზში. იქ შეხვდნენ ერკოლს,მ ოაწერეს ხელი კონტრაქტს და ბილეთები აიღეს. გაეგზავნენ გემით ინგლისში იქიდან კი გემ „სპარსეთის მონარ-ქთ“გაეგზავნენ ამერიკაში.1893 წლის 10 აპრილს 6:00 საათზე გემი შევიდა პორტში , რის შემდეგ სამაყოს აგენტი შემოვიდა მოამზადეს მგზავრთა სია, რომელშიც ეწერა მათი ასაკი, სახელი, ქვეყანა, დანიშულების ადგილი და ა.შ. ეს სია გადაეცა სამაყოს აგენტებსბუფალო - ბილის აგენტები შეხვდნენ გემზე და ტვირთების განაყენებაზე დაეხმარნენ, შემდეგ ჩასხდნენ მატარებელში და გაეგზავნენ ჩიკაგოში. ისინი ჩავიდნენ ჩიკაგოში სეზონის გახსნამდე ერთი კვირით ადრე, ეს იყო საკმაოდ მცირე დრო ცხენების გასაწვრთნელად. (ცხენების გარდა მოჯირითეებს სხვა მთელი ამუნიცია თან მიჰქონდათ, რომელსაც თავისი ფულით ყიდულობდნენ,ა მისთვის ზოგი ყიდდა ყველაფერს რაც გაჩნდა* **მლ.***)*

ბუფალო ბილმა აღმართა დიდი სტენდები, 63-ე ქუჩაზე და მედისონ ავენიუსზე მას ჰქონდა 20 000 კაცის დასაჯდომი ადგილი, ბილეთი ღირდა 50 ცენტი დიდებისათვის, 25 ცენტი ბავშვებისათვის ,10 ცენტი ღირდა პროგრამა. რეპორტიორები იტყობინებოდნენ გასნის დღის წარმოდგენას და ამბობდნენ „კაზაკების“ შესახებ,რომ „კაზაკები“ აჩვენებენ ჯირითის ხელოვნებას,ისინი ბშეენიერი მოჯირითეები არიან და იმსახურებენ პატივისცემას კოვბოების გვერდით“..."განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ივანე მახარაძემ და მისმა მოჯირითეებმა ლონდონში, მაგრამ ამის საკუთარი ჩანაწერები ნაკლებად არსებობს. ყველაზე დიდი წერილი ქართველების შესახებ დაიბეჭდა „ჩიკაგო ტრიბუნში“ 8 მაისს 1893 წლის: „12 კაზაკი შემოვარდა ყვითელ პონზე ამხედრებული, უცნაური სიმღერით და ჰიმნით, ბევრ ადამიანს ეგონა, რომ ეს ორი სიმღერა ერთნაირი იყო, წითელქურქიანი კაზაკების სიმღერა პრიამბულურ მელოდიის ორიგინალური ვერსია გეგონებოდათ"..."ბუფალო ბილის უაილდ უესთი დაიხარა 31 ოქტომბერს ღამის წარმოდგენის შემდეგ.წარმოდგენები ტარდებოდა დღეში ორჯერ მუხედავად წვიმისა და ცუდი ამინდისა.შოუ გაიხსნა მსოფლიო გამოფენამდე ოთხი დრით ადრე და დაიხურა ერთი დღის შემდეგ ეს იყო ყველაზე წარმატებული სეზონი, რომელიც შოუს ისტორიაშია ცნობილი. ივანე მახარაძე და მისი თანამემამულეები ჩიკაგოდან მატარებლით გაეგზავნენ ნიუ-იორკამდე. 1 ნოემბერს 1893 წლის ბუფალო ბილის მენეჯმენტმა დაუკვეთა და აუნაზღაურა ბილეთები ლაინერ „მაჯე-სტიკზე“,რომელიც გაეცზავრა 1893წ ლის 8 ნოემბერს. მათი გუნდი მეორე კლასის კაბინაში იყო, რაც ღირდა 40-45 დოლარი, რაც მათი თვური ხელფასის ტოლი იყო„.მაჯესტიკმა „ნიუ-იორკი დატოვა 16 ნოემბერს ჩავიდნენ ირლა-ნდიაში მეორე დღეს“ მაჯესტიკი“ გაეგზავრა ლივერპულში, ლივერპულიდან ქართველები ჩავიდნენ პარიზში, მარსელში, შემდეგ ხმელთაშუაზღვა, შავი ზღვა და დეკემბრის პირველ კვირაში 1893 წლის ჩავიდნენ ბათუმში. ივანე მახარაძე და თავისი ძმები დაბრუნდნენ ბახვში და ამის შემდეგ ამერიკაში აღარ დაბრუნებულა.“

სილიბისტროს შთამომავლებს შემორჩენილი აქვთ ამერიკიდან ჩამოტანილი ვერცხლის თასი და საკერავი მანქანა.

სილიბისტრო ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ქედა ბახვში,ეწეოდა კირის დამუშავებას, არსებობდა კირის სამადნები, კირს,როგორც დოლომს ისე ხმრობდნენ ცემენტის ნაცვლად,მას გამოსწვავდნენ.სოფელ ბახვში და ასკანაში ქონდა სპეციალურად მოწყობილი საკრეები და დაქირავებულ ხალხს ამუშავებდა.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის სამუზეუმო

გაერთიანების ფონდების მთავარი

მცველი

დიდი საჭადრაკო ღონისძიება ლანჩხუთში

ქ. ლანჩხუთის საჭადრაკო სახლში 200-მდე სტუმარი ესწრებოდა დიდ საჭადრაკო ტურნირს **„ლანჩხუთი 2022“**, რომელშიც 8,10,12 წლამდე ასაკის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. იგი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** დიდი მხარდაჭერით ჩატარდა.

სამივე ასაკობრივი კატეგორიის, 102 გოგონა და ჭაბუკი იყო ჩართული. გურიის რეგიონიდან 30 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მ.შ. ოზურგეთიდან 17 და ლანჩხუთიდან 13 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრება შვეიცარული სისტემით, შვიდ ტურად და 30 წუთიანი დროის რეგლამენტით ჩატარდა. ტურნირი თავისთავად საინტერესო და მიმზიდველი გამოდგა, რადგან მასში სხვადასხვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის მაღალ რეიტინგიანი და ტიტულოვანი ბავშვები იყო წარმოდგენილი, მათ შორის მსოფლიოს, ევროპის და რესპუბლიკური დონის ჩემპიონატების და ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები. დასაწყისში გვეგონა, რომ გურულ პატარებს გაუჭირდებოდა მათთან ასპარეზობა, მაგრამ უმეტესობამ კარგი თამაშით და თეორიული ცოდნით გამოავლინა თავი და სპეციალისტების მოწონებაც დაიმსახურა. მართლაც ადგილობრივი ბავშვებიდან, რვამ ქულათა მაქსიმუმის 60 % აიღო, ხოლო ათმა მოჭადრაკემ 70%-ზე მეტი, რაც ჭადრაკში წარმატებული შედეგად მიიჩნევა. აქვე ავღნიშნავთ, რომ გურიის რეგიონიდან ყველაზე კარგი შედეგი, 8 წლამდე ასაკში მოასპარეზე, 7 წლის ოზურგეთელმა **ლაზარე ჩხარტიშვილმა** აჩვენა, რომელმაც შვიდიდან 6 ქულა წაუგებლად დააგროვა და ვერცხლის მედალოსანი გახდა. იგი დამჯერებლად გავიდა პირველ ადგილზე 7 წლამდე ასაკის ნომინაციაშიც, მაგრამ რადგან ტურნირის დებულება ორივე მედლის აღებას არ ითვალისწინებდა, მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა. ლაზარემ - „ჩემზე უფროსებში აღებული ვერცხლი მირჩევნია 7 წლიანებში ოქროსო“ და მწვრთნელ **ელგუჯა ურუშაძის** თანხმობით, შვიდ წლიანებისათვის განკუთვნილ ოქროს მედალზე უარი თქვა და იგი 5 ქულიან ნიჭიერ მოჭადრაკეს, ლანჩხუთელ **ანასტასია ებრალიძეს** გადაულოცა(!). ამით ლაზარემ გურულების მონაგარს პრაქტიკულად ერთი მედალი დაუმატა. ამავე ასაკში, ბრინჯაოს მედალოსანი, 5 ქულით და უკეთესი კოეფიციენტით ლანჩხუთელი **ნიკოლოზ ჟორდანია** გახდა. მხოლოდ ნაკლები კოეფიციენტის გამო დარჩა სამეულს მიღმა, ასევე 5 ქულიანი(!), ოზუ-რგეთელი **გაბრიელ ბარამიძე,** რომელმაც ძლიერთა შორის მოსალოდნელზე კარგი შედეგი აჩვენა. წარმატებულად უნდა ჩაითვალოს 4-4 ქულიანი (60%) **დამიანე გორდელაძის, ერეკლე ანდღულაძის**(ორივე ოზურგეთი) და ლანჩხუთელი **საბა კიკვაძის** თამაშიც. ქებას იმსახურებს ნინი ებრალიძეც, რომელმაც თანატოლ ჭაბუკებთან 3,5 ქულა(50%) დააგროვა.

10 წლამდე ასაკში, გურულებიდან ყველაზე კარგი შედეგი (5 ქულა) ოზურგეთელმა **გიორგი სირბილაძემ** აჩვენა, რომელსაც ნახევარი ქულა არ ეყო სამეულში მოხვედრილიყო და რამდენიმე თანატოლთან ერთად, მეოთხე ადგილის გაყოფა მოუწია. აქ 4-4 ქულიანი შედეგი წარმატებულად უნდა ჩაეთვალოს ოზურგეთელ **ალექსი სირბილაშვილს, ნიკოლოზ გოგიტიძეს** და ლანჩხუთელ **სპარტაკ ქუნთელიას** და **სარა ცომაიას.**

12 წლამდე ასაკში, გურულებს ყველაზე ძლიერი და გამოცდილი წარმომადგენლობა ოზურგეთიდან ჰყავდა. მაგრამ.. , **ნიკოლოზ ბარამიძე, ანდრია კიკბიძე და აკაკი სალუქვაძე,** რომლებიც ძალიან კარგი და გააზრებული თამაშით თავიდანვე ლიდერობდნენ, დასანანად დაკარგული ქულებით სამეულს მიღმა დარჩნენ. ერთერთი მაინც უნდა მოხვედრილი სამეულში მაგრამ ამას დამატებით ელექტრონულმა კენჭისყრამც შეუშალა ხელი, რომელმაც ბოლო ტურებში ისინი ერთმანეთს დააპირისპირა. სამივემ 5-5 ქულა დააგროვა, რაც ნადვილად არაა ურიგო შედეგი, მაგრამ პირველი ადგილის რეალური შანსის ხელიდან გაშვება ძალზე გულდასაწყვეტი დარჩა. ამ ასაკში აღნიშვნას იმსახურებს ლანჩხუთელი **ლილე ფირცხალაიშვილის** კარგი და შინაარსიანი თამაში.მისთვის ძალზე ძლიერ მეტოქეებთან აღებული 4 ქულა უკმაყოფილებას არ უნდა ტოვებდეს. გასაგებია, რომ მიუხედავად დადებითი შედეგისა, უკმაყოფილო დარჩნენ, ძლიერი და მაღალი პოტენციური შესაძლებლობის მქონე, ოზურგეთელი **ანდრია ცერცვაძე** და **დემეტრე გოგიტიძე.** დემეტრემ ცუდი სტარტის შემდეგ ზედიზედ ოთხი პარტია კი მოიგო, მაგრამ მეტოქეების დასაწევად, რომ იტყვიან „მანძილი არ ეყო“.

ტურნირი ყველაზე წარმატებული და „ბარაქიანი“ იმერელი მოჭადრაკეებისათვის, განსაკუთრებით ქუთაისელებისათვის გამოდგა, მათ მედლების ნახევარი წაიღეს. რასაც საუკეთესო მწვრთნელისათვის დაწესებული ფულადი პრიზიც დაუმატეს, რომელიც მათ დამსახურებულ მწვრთნელს, **გია მენაბდეს** გადაეცა. მეორე შედეგი გურულებს აღმოაჩნდა, რომლებმაც სამივე სინჯის მედალი დაისაკუთრეს. თითო-თითო მედალი სამტრედიელმა(ოქრო) და გორელმა (ბრინჯაო) მოჭადრაკემ მოიპოვა.

ტურნირის, როგორც გახსნის, ისე დახურვის ცერემონია საზეიმო ვითარებაში წარიმართა, რომელშიც მონაწილეობდა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვებით მიმართა მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა.

გურიის ჭადრაკის ფედერაციამ განსაკუთრებულად აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ ალექსანდრე სარიშვილის ღვაწლზე, რომელმაც მერად პირველად არჩევის დღიდან დაიწყო მუნიციპალიტეტში ჭადრაკის განვით-არებაზე ზრუნვა და უკვე მიღწეული შედეგებიც სახეზეა.

ჭადრაკის სახლის წარმატებული ფუნქციონირება დღეს, რეგიონის და ქვეყნის დონეზე დადებითად ისახება. მაღალი შეფასება მიეცა აიპ საჭადრაკო კლუბ „ლანჩხუთის“ პრეზიდენტის და ტურნირის დირექტორის, ახალგაზრდა **თენგიზ ხუხუნაიშვილს** ნაყოფიერ საქმიანობას, რომლის ინიციატივით დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა ეს ღონისძიება. სამადლობელი სიტყვები დაიმსახურეს ტურნირის მთავარმა მსაჯმა **ადამ ხუხუნაიშვილმა** და მსაჯებმა **გიორგი გოგოლაურმა, ტარიელ ხუხუნაშვილმა** და **ელგუჯა ურუშაძემ.**

ხსოვნა

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება **მერაბ სიორიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

სკანვორდი



პასუხები:

ეკონომიკურ ინსტიტუტში; ეროვნული ბიბლიოთეკა; ფეხბურთელი -ანდრია ცერცვაძე; ბერძნული ასო; ოთარ ფანცულაია -ანტანა; ანარეკლი; ბერძენი -ალექსანდრე; ალექსანდრიელი; ბერძენი ფილოსოფოსი; ალექსანდრიელი; ბერძენი -ალექსანდრიელი; ალექსანდრიელი; ბერძენი -ალექსანდრიელი; ალექსანდრიელი; ბერძენი -ალექსანდრიელ

ეროვნული მოძრაობა რევოლუციის პერიოდში

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



ავტონომიის საკითხი არჩილ ჯორჯაძის ნაშრომში „ძველი და ახალი." 1906 წლის 18 მაისს არჩილ ჯორჯაძეს დაუსრულებია უაღრესად საყურადღებო ნაშრომი ძველი და ახალი", რომელიც იმავე წელს თბილისში გამოიცა კიდეც. 1906 წლისათვის არჩილ ჯორჯაძეს სერიოზული უთანხმება ჰქონდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიასთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა პარტიის პროგრამის შემუშავების პროცესში. უთანხმობა გასცდა პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის ფარგლებს და იგი საკმაოდ ცხარე პოლემიკაში გადაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სოციალისტ-ფედერალისტებთან პოლემიკაში ჩაბმული არჩილ ჯორჯაძე ანარქიზმის გავლენას განიცდიდა, ამ გავლენის კვალი ზემოთ ხსენებულ ნაშრომშიც იგრძნობა. ნაშრომს „ძველი და ახალი" არჩილ ჯორჯაძე ასე იწყებს: „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ამჟამად კრიზისს განიცდის. ამ კრიზისის შესახებ გვინდა ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. ვგონებ, ამხანაგები არ დაგვემდურებიან შინაურ საქმეების გარეთ გამოფენისათვის, მით უმეტესად, რომ ამ „შინაურ საქმეებს" საზოგადოებრივი ხასიათი აქვთ." არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ ეს კრიზისი ისეთივეა, როგორსაც განიცდიდნენ ევროპისა და რუსეთის სოციალისტური პარტიები. კრიზისის არსის გარკვევასავტორი იწყებს სამი პრინციპის ჩამოყალიბებით. ავტორის აზრით, ამ სამი პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს ყველა სოციალისტურმა პარტიამ:

1. „პირველი პრინციპი არის სახელმწიფოს უარყოფის საჭიროება სოციალიზმის განხორციელებისათვის. სახელმწიფო ყოველთვის იყო, არის და იქნება კერძო საკუთრების დარაჯი. ამიტომ, ვინც სოციალიზმის განხორციელებას ცდილობს, იგი უნდა მოქმედებდეს სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წრის გარეშე და სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი სოციალიზმის განხორცილების საქმეში არამც და არამც იარაღად არ გამოიყენოს."

2. „მეორე პრინციპი. სოციალისტური პარტია უნდა ემზადებოდეს თავისი მისიის ასრულებისათვის გამუდმებულ ბრძოლის საშუალებით. ბრძოლა უნდა იყოს მიმართული კერძო საკუთრების მეფობის წინააღმდეგ. სოციალისტურმა პარტიამ უნდა წამოაყენოს საწარმოვო ყველა იარაღთა სოციალიზაციის აუცილებლობა. ამ საქმისათვის პარტია უნდა ემზადებოდეს დღესვე. საშუალება — საყოველთაო გაფიცვაა. საყოველთაო გაფიცვა მოახდენს მიწის და კაპიტალის ექსპროპრიაციას. ექსპროპრიაცია ნაწილობრივ საზოგადო ექსპროპრიაციად უნდა გადაიქცეს".

3. „მესამე პრინციპი. სოციალისტურ ორგანიზაციას წმინდა კლასიური ხასიათი უნდა ჰქონდეს. სოციალისტური პარტია უნდა იყოს პარტია მწარმოებლებისა, მშრომელ ხალხისა, არა მარტო თავის იდეურ მიმართულებით, არამედ თავის შემადგენელ ელემენტებითაც. პარტიის წევრებს წარმოებასთან უნდა ჰქონდეთ კავშირი. ეგრედ წოდებული სოციალისტური ინტელიგენცია ხელმძღვანელი და ბატონი კი არ უნდა იყოს პარტიაში, არამედ მსახური და ხელქვეითი მწარმოებელ ორგანიზაციებისა."

ამ სამი პრინციპის განსაზღვრის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ნაკლოვანებებს განიხილავს. სწორედ ამ ნაკლოვანებების განხილვის დროს გამოხატავს იგი თავის დამოკიდებულებას ავტონომიზმისა და ფედერალიზმის მიმართ. არჩილ ჯორჯაძე წერს: „არის ფედერალიზმი ბურჟუაზიული და ფედერალიზმი სოციალისტური." ფედერალიზმის ამ ორ სახეს შორის ავტორი პრინციპულ განსხვავებას ხედავს: „ფედერალიზმი ბურჟუაზიული არის კავშირი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა ანუ კანტონებისა. სოციალისტური ფედერალიზმი არის კავშირი მშრომელ ამხანაგობათა და ორგანიზაციათა. ბურჟუაზიული ფედერალიზმი ხელუხლებელ ჰყოფს სოციალურ უთანასწორობას, არ არღვევს იმ წყობილებას, რომელიც კერძო საკუთრებასა და ყვლეფა-გლეჯაზეა დამყარებული. სოციალისტური ფედერალიზმი ძირს უთხრის კერძო საკუთრებას, ასაზოგადოებს შრომის იარაღს— მიწას და ქარხანას. გასაზოგადოებული საწარმოო იარაღი მშრომელთა ორგანიზაციების ხელში გადადის." როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძის მსჯელობა სოციალისტის მსჯელობაა. ავტორი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ფედერაციული ერთეულის შექმნის გზებზე კი არ საუბრობს, არამედ— იმას არკვევს, თუ რომელი ფედერაცია სჯობია, —ბურჟუაზიული თუ სოციალისტური. ცხადია, სოციალისტური ფედერაცია მხოლოდ რუსეთის სოციალისტურ სახელმწიფოში იქნებოდა შესაძლებელი, იმ სახელმწიფოში, რომელიც ჯერ არ არსებობდა, და არავინ უწყოდა, როდის წარმოიქმნებოდა. **არჩილ ჯორჯაძე არ აყენებს რუსეთის იმპე-რიის შემადგენლობაში საქართველოს ფედერაციული ერთეულის, ანუ ავტო-ნომიური ერთეულის, დაუყოვნებლივ შექმნის საკითხს და საბოლოოდ მას სოციალიზმის გამარჯვებას უკავშირებს.** ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძე რაიმე ორიგინალურს არ გვთავაზობს, იგი ამოდის რუსეთის სოციალ-დემოკრ-ატიული მუშათა პარტიის მიერ აღიარებული დებულებებიდან: ეროვნ-ული საკითხი მას შემდეგ გადაიჭრება, რაც გადაიჭრება სოციალური საკითხი, დამყარდება სოციალიზმი.

გაცილებით საინტერესოა არჩილ ჯორჯაძის მსჯელობა ეროვნების, ავტონომიისა და ფედერაციის შესახებ. ავტორი წერს: „მაშ, შევეხოთ ჯერ სახელმწიფოს, სახელმწიფოებრივ ნიადაგზე მოქმედებას, ხოლო თავდაპირველად ავიღოთ კონკრეტული კითხვა — ეროვნება, ეროვნული ავტონომია, ავტონომიათა ფედერაცია და ვნახოთ, რა სახით უნდა განვმარტოთ ეს კონკრეტული მოვლენა ანტი-სახელმწიფოებრივ თეორიის მიხედვით." ამ უაღრესად საინტერესო საკითხზე თავად არჩილ ჯორჯაძის შეხედულება ასეთია:

— „თანამედროვე ეროვნებას ბევრნაირი თვისება აქვს: ტერიტორია, ზნე-ჩვეულება, ენა, საერთო მართვა-გამგეობის ძალა, კაპიტალიზმი, განსაზღვრულ ეროვნულის თვით შეგნება. მაგრამ არც ერთი თვისება, კერძოდ აღებული, არ ჰქმნის ხალხს ერად, არ ჰბადებს მასში ეროვნულ გრძნობას."

—„ტერიტორიას, მაგალითად, ეროვნების შექმნის პროცესში დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ იმ დროიდან, როდესაც უკვე შექმნილია ეროვნება, და უკვე დაბადებულია ეროვნული თვითშეგნება, ტერიტორიას ეკარგება თავისი მნიშვნელობა. ხალხს, რომელსაც უკვე აქვს ამგვარი შემეცნება, შეიძლება, ტერიტორია აღარ ჰქონდეს, ხოლო იგი მაინც ერად რჩება(მაგალითად, სომხები და ებრაელები)."

—„ზნე-ჩვეულებაც არ არის ძირითადი ფაქტორი ეროვნების შექმნის საქმეში. ზოგ ხალხს აქვს საერთო ზნე-ჩვეულება, მაგრამ ეს ხალხი ეროვნების შემეცნებამდე ვერ ამაღლებულა."

—„ არც ენა არის აუცილებელი პირობა ეროვნულ გრძნობის განვითარებისათვის. ხშირად ერთ ტერიტორიაზედ რამდენიმე სხვა და სხვა ენაზედ მოსაუბრე ხალხი ცხოვრობს, ხოლო ეს ხალხი თავის თავს ერთ ერად აღიარებს. შვეიცარიაში გერმანელები, იტალიელები და ფრანგები კი არ სცხოვრობენ, არამედ შვეიცარიელები, რომელთაც ერთი შვეიცარული თვითშეგნება აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამ ენას ლაპარაკობენ."

—„რაც შეეხება სახელმწიფოებრივ უფლებას, მართვა-გამგებლობის ძალას, არც მას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა ამ საქმეში. ბევრი ერი არის პოლიტიკურ თვით-არსებობას მოკლებული."

—„კაპიტალიზმი ხელს უწყობს მის წარმოშობვას, მის (ეროვნების — ვ.გ.) წარმოშობვას, მაგრამ არც კაპიტალიზმია მთავარი ფაკტორი. ბევრ ხალხს ჯერ კიდევ ფეოდალურ წყობილებაშივე ებადება ეროვნული შემეცნება. კაპიტალიზმი არ ჩაითვლება მიზეზად ეროვნულ თვით შეგნების დაბადებისა."

—„დარჩა თვითშემეცნების თვისება. როგორც ვნახეთ, იქ, სადაც თვით შემეცნება არ არსებობს, არც ერი არსებობს. ხოლო აშკარაა, არც თვითშემეცნების თვისება არის დამოუკიდებელი, პირველყოფილი ფაკტორი. ეროვნული თვითშემეცნება ნაყოფია ცხოვრების მრავალგვარ მოვლენათა ზედგავლენისა. და ამ მრავალგვარ მოვლენათა შორის მატერიალურ ხასიათის ფაკტორებს უპირატესი ადგილი უჭირავთ."

არჩილ ჯოჯრჯაძის მიერ ჩამოყალიბებულმა დებულებებმა გავლენა მოახდინა ბევრ ავტორზე, რომელთაც ერის განმარტება სცადეს, მათ შორის, პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ **მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, იოსებ ჯუღაშვილი და აკაკი ჩხენკელი.** ზემოთ მოტანილი საინტერესო დებულებების შემდეგ არჩილ ჯორჯაძე მოულოდნელად ისევ რუსულ სოციალ-დემოკრატიაში დამკვიდრებულ შეხედულებას იზიარებს: „ეროვნება არის განსაზღვრულ ხალ-ხში (ან ხალხებში, როგორც შვეიცარიაში) აღორძინებულ ნათესავობის და მთლიანობის შეგნება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ეროვნების ცხოვრებაში სხვა მოვლენასაც აქვს ადგილი, იმგვარ მოვლენას, რომელიც ამ ნათესაობის და მთლიანობის საფუძველს არღვევს. სახეში გვაქვს ხალხის მოპირდაპირე კლასებად დაყოფვა და ამის გამო წამომდგარი კლასობრივი მეტოქეობა და ბრძოლა. ამრიგად, ეროვნება თითქოს ერთობაც არის და ამავე დროს ბრძოლის ნიადაგიც. ისტორიის განსაზღვრულ საფეხურზედ ეროვნება მოწინააღმდეგე კლასთა თითქოს დამაკავშირებელი ძალაა. მაგრამ დგება დრო, როდესაც კლასთა განხეთქილება უფრო ძლიერია, ვიდრე ეროვნების დამაკავშირებელი ძალა. ასე რომ, ეროვნება თავის სიღრმეშივე შეიცავს დაღვევის და სიკვდილის ფესვებს".

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში არჩილ ჯორჯაძემ უარყო ილია ჭავჭავაძის **„წოდებათა შერიგების", „კლასთა თანამშრომლობის"** იდეა და, რაც მთავარია, **„საერთო მოქმედების ნიადაგის"** იდეა, რომელიც მან თავად წამოაყენა და რომელსაც თავგამოდებით იცავდა კიდეც XX საუკუნის დამდეგს. უფრო მეტიც, არჩილ ჯორჯაძე აშკარდ განიცდის კოსმოპოლიტიზმის გავლენას, რომელსაც ასევე თავგამოდებით ებრძოდა რამდენიმე წლის წინ. ნაშრომში ვკითხულობთ: „თუ ეროვნება სხვა და სხვა კლასთა შორის კავშირის დამამტკიცებელი ძალაა, ამ ძალას მხოლოდ იმ დრომდე ექნება მნიშვნელობა, სანამ კლასთა შორის ორმო არ გაღრმავდება და ბრძოლაც არ გაფიცხდება. ხოლო, რაკი ამგვარი ბრძოლა გაჩაღდება, იგი ბრძოლა კლასთა გაუქმებით დაბოლოვდება. კლასთა გაუქმება კი ეროვნების გაუქმებას გამოიწვევს, რადგან, როგორც ვსთქვით, ეროვნება კლასთა შორის კავშირის დამამტკიცებელი ძალაა. რაკი ამ ძალას ნიადაგს გამოაცლით, ეროვნებაც თან გაჰყვება. მაშინ ეროვნულ თვითშემეცნების ადგილს კაცობრიობის თვითშემეცნების აზრი დაიჭერს."

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძე, სოციალისტ-ფედერალისტებთან პოლემიკაში ჩაბმული, აშკარად განიცდის საერთაშორისო ანარქიზმის, რუსული სოციალ-დემოკრატიისა და კოსმოპოლიტიზმის გავლენას.

ნაშრომში „ძველი და ახალი" არჩილ ჯორჯაძე ცდილობს უპასუხოს კითხვას: „რანაირად უნდა ვეკიდებოდეთ დღეს ეროვნულ კითხვას, ეროვნულ ცხოვრების მოწესრიგებას?" ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ავტორი აკრიტიკებს სოციალ-ფედერალისტებისა და სოციალ-დემოკრატების შეხედულებებს ავტონომიისა და ფედერაციის თაობაზე: „სოციალ-დემოკრატები არსებითად წინააღმდეგები არიან ერთისა და მეორისაც. სოციალ-ფედერალისტები არ იცავენ სოციალისტურ ფედერაციას, ხოლო სახელმწიფოებრივ ფედერაციასაც ღალატობენ." ამის საპირისპიროდ, არჩილ ჯოჯრჯაძე ამტკიცებს: „ჩვენ ვამბობთ, ეროვნული, გინდა ოლქო-ბრივი (კავკასიის) ავტონომია სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა. სახელმწიფო (არისტოკრატიული გინდ დემოკრატიული) კერძო საკუთრების, კაპიტალისტურ წყობილების მცველია. სოციალისტური პროლეტარიატი და გლეხობა ებრძვის და ძირს უთხრის კერძო საკუთრებას და კაპიტალისტურ წყობილებას. მაშასადამე, თუ სოციალისტებმა ხელი შეუწყვეს სახელმწიფოებრივი ხასიათის ავტონომიის დაარსებას, ისინი თავიანთი ინტერესების წინააღმდეგ წავლენ." მაშასადამე, არჩილ ჯორჯაძე წინააღმდეგია როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს ავტონომიის, ანუ ფედერაციული ერთეულის, შექმნისა, თუკი იარსებებს კერძო საკუთრება(კაპიტალისტური წყობილება), რადგან ამ შემთხვევაში ავტონომია ან ფედერაცია სახელმწიფოებრივი დაწესებულება იქნებოდა, მაშინ, როდესაც პროლეტარიატი და გლეხობა ომს უცხადებდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, „რადგან იგია დარაჯი ექსპლუატატორებისა და დაუძინებელი მტერი კომუნისტური წყობილებისა".

მიხაკო წერეთელი

ზემოთ მოხმობილი საკმაოდ რთული მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე ცდილობს საკითხი გაამარტივოს ისე, რომ ზემოთ დასმულ უმთავრეს კითხვაზე („რანაირად უნდა ვეკიდებოდეთ დღეს ეროვნულ კითხვას, ეროვნულ ცხოვრების მოწესრიგებას?") გადაჭრილი პასუხი არ გაუცია, იმავე საკითხს სხვაგვარად აყენებს: „მაშ, რუსეთში რომ ზოგიერთ ერს და პროვინციებს (და მათ შორის საქართველოს და კავკასიას) ავტონომიები მიენიჭოს, სასურველი იქნება ეს მოვლენა თუ არა?— ფრიად სასურველი. მხოლოდ, აი, რა მხრივ: ავტონომიურ ნაწილებად რუსეთის დაყოფვა მოასწავებს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის უფლების დაყოფვას. და ეს უკანასკნელი კი მოასწავებს ამ უფლების შესუსტებას. მაშასადამე, სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია რევოლუციისთვის ფრიად საგულისხმო პირობებს შექმნის." უფრო მარტივად ავტორის აზრი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: **ავტონომია და ფედერაციაიმიტომ არის საჭირო, რომ მოხდეს რუსეთის სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია, რაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას გააადვილებდა.**

ამრიგად, არჩილ ჯორჯაძე 1906 წელს მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის (ფედერაციული ერთეულის) შექმნას.

8. ავტონომიის საკითხი გიორგი ჟორდანიას ნაშრომში „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია".1906 წლის სექტემბერში თედო ჟორდანიას ვაჟს, განათლებით იურისტ გიორგი ჟორდანიას მოსკოვში დაუსრულებია მცირე ნაშრომი **„აქვს თუ არა საქარ-თველოს კანონიერი უფლება მოითხ-ოვოს ავტონომია(მცირე ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა)"**. ნაშრომი ბრ-ოშურის სახით იმავე წელს დაბეჭდილა ქუთაისში, მაგრამ გამოცემა ხელისუფლებას აუკრძალავს და ტირაჟიც არ გავრცელებულა. ბროშურა მეორედ გიორგი ჟორდანიამ 1917 წელს დაბეჭდა უცვლელად.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3 გვ: 429-432)

დაზგური გრაფიკისა და ბეჭდური მხატვრების გამოფენაზე

ალიონი. 10 მაისს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში შემოქმედებითი სახელოსნო **„GURIAN ART“** წევრთა და მოწვეულ მხატვართა დაზგური გრაფიკისა და ბეჭდური მხატვრობის გამოფენა გაიმართა.

როგორც სახვითი ხელოვნების ცენტრის თანამშრომელმა, ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** აღნიშნა, ეს გამოფენა 2021 წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ პანდემიის გამო გადაიდო. გამოფენაში 10 მხატვარი მონაწილეობს: **ვახტანგ მეგრელიშვილი, თეონა ღლონტი, ნინო ბასილაშვილი** (სამთავე ქ. თბილისი); **მაია ჭყონია, ეკა ცინცაძე, ირინა ტორონჯაძე** (ბათუმი); **გია გვიჩია** (ფოთი); **თანდილა თავართქილაძე, თამაზ დარჩია, ეკატერინე ოსტროვსკა** (ოზურგეთი).

– *„შემოქმედებითი მივლინება ოზურგეთში,“ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომლის მიზანი ხელოვნების პოპულარიზაცია და ორიგინალური კულტურული პლატ-ფორმის ჩამოყალიბებაში.*

ცენტრთან არსებული შემოქმედებითი სახელოსნო ***„GURIAN ART“*** *მეხუთედ უმასპინძლა პროფესიონალ მხატვართა ჯგუფს და ტრადიციულად შესთავაზა საინტერესო, თავისუფალი შემოქმედებითი სივრცე და ამ საგამოფენო დარბაზში ხედავთ მათ მიერ განხორციელებულ ნოვატორულ იდეებს “*– თქვა თავის გამოსვლაში სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორ-მა **ავთანდილ თავართქილაძემ.**

საინტერესო სიტყვებით გამოვიდნენ შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელი **ვახტანგ მეგრელიშვილი**, მხატვრები **თეონა ღლონტი, მაია ჭყონია, ნინო ბასილაშვილი, ირინა ტორონჯაძე,** გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩია**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან **მარინა ჯაფარიძე.**



თანდილა თავართქილაძე:– *„ხელოვანისათვის ბედნიერებაა შემოქმედებითი თვითრეალიზაცია. შემოქმედებითი სახელოსნო „**GURIAN ART**“ არის და იქნება ცოცხალი ორგანიზმი ოზურგეთის კულტურულ სივრცეში.“*

ვახტანგ მეგრელიშვილი :– *„სიახლეები და ხელახალი ექსპერიმენტები მნიშვნელოვანია ხელოვანისათვის და ხელოვნებისთვის ზოგადად. ახალი ტექნოლოგიებით ახლის ძიება და ახალ შედეგებზე გასვლა უპირველესი ამოცანაა შემოქმედისათვის. ოზურგეთის გალერეა ყოველთვის მზადაა ამ ექსპერიმენტისათვის.“*

გია გვიჩია: *„თითქმის ოცდაათი წელია, რაც გურიაში გალერეასთან არსებულ შემოქმედებით სტუდიასახელოსნოში გიზგიზებს შემოქმედებითი ბუხარი, რომელიც იძლევა სითბოს, სინათლეს და გარშემო აერთიანებს ხელოვან ადამიანებს.“*

თამაზ დარჩია: – *„ოზურგეთის შემოქ-დებითმა სახელოსნომ „**GURIAN ART**“ დიდი ხანია გაშალა ფრთები. დაე, ამ გაშლილი ფრთებით მთელი მსოფლიო გაეცნობინოს.“*

ეკატერინე ოსტროვსკა: –*„ეს შემოქმედებითი სტუდია ამ მოკლე ხანში ჩემთვის სახლად იქცა. ადგილად, სადაც მეგობრული და თბილი ადამიანები გვხვდებიან.“*

ირინა ტორონჯაძე: – *„ჩემთვის ოზურგეთის პლენერი შემოქმედებითი და ადამიანური აღმოჩენა გახლავთ...ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის იდეა ეხმარება დაზგური გრაფიკის აღორძინებსა და პოპულარიზაციას.*

დიდი მადლობა ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სპონსორებს ასეთი თბილი და არაჩვეულებრივი ატმოსფეროსათვის.“

ეკა ცინცაძე: – *„მსგავსი სემინარი ჰაერივით სჭირდება შემოქმედებით ადამიანებს. ოსტატობის, ხედვისა და შესრულების ტექნიკის ურთიერთგაზიარებას პლუს იდეალური შემოქმედებითი*

პირობები...ამას ყველაფერს მივყავართ საოცარ შედეგებამდე.“

მაია ჭყონია: –*„ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე: ეს პროექტი მართლაც რომ ოაზისივითაა. ივი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც რეგიონის კულტურის განვითარებისათვის, ასევე იმ ხელოვანებისთვის, რომლებიც ოდესმე მონაწილეობდნენ პროექტში. ყველა აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ხელოვანმა ამ სფეროში შექმნას ნამუშევარი და მომავალი შემოქმედებისთვისაც მიიღოს ინსპირაცია.“*

ნინო ბასილაშვილი: – *„ვთვლი, რომ გრაფიკა ძალიან თანამედროვე, მრავლისმომქმელი და მრავალფეროვანი დარგია, რაც ახალგაზრდა თაობისთვის საინტერესო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამ პროექტმა მომცა შესაძლებობა, კიდევ ერთხელ ვზიარებოდი ოფორტის გენიალურობას და მემუშავა არაჩვეულებრივ მხატვრებთან ერთად.“*

თეონა ღლონტი: – *„ჩემი შემოქმედებითი მივლინება ოზურგ-ეთში, განვლილი პროფესიული გზის ერთ-ერთი საუკეთესო შთაბეჭდილ-ებაა – სითბოს, სიყვარულისა და მაღალი პროფესიონალიზმის დღესა-წაულია სახელოსნოში, სადაც იდეალური პირობებია შექმნილი მხატვა-რთათვის. აქ გატარებული ყოველი დღე იყო შემოქმედებითი ძიებებით, მეგობრული ურთიერთობებითა და სიხარულით სავსე.“*

7 დღის ამინდის პროგნოზი

13 მაისი, პარასკევი	14 მაისი, შაბათი	15 მაისი, კვირა	16 მაისი, ორშაბათი	17 მაისი, სამშაბათი	18 მაისი, ოთხშაბათი	19 მაისი, ხუთშაბათი
მზე, ღრუბელი +10+18	მზე, +12+23	მზე, +10+19	წვიმა +9+15	მზე, ღრუბელი +10+17	მზე, ღრუბელი +11 +17	წვიმა +10+15